


საქართველოში ბინადრობის ნებართვის მიღების პროცედურა



განცხადების წარდგენა

ბინადრობის ნებართვის მიღების ან მისი მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის ვადის ამოწურვამდე 40 კალენდარული დღით ადრე, უცხოელი:

- განცხადებით მიმართავს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (სსგს), მატერიალური ან ელექტრონული ფორმით;
- უფლებამოსილია, სააგენტოში საკითხის განხილვის პროცესში, თავისი ინიციატივით, წარადგინოს დამატებითი დოკუმენტები.

სსგს-ს მიერ განცხადების განხილვა

- სააგენტო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, მიიწვიოს განმცხადებელი და მიიღოს მისგან საკითხის განსახილველად საჭირო დოკუმენტაცია/ ინფორმაცია და ახსნა-განმარტება.
- თუ განმცხადებელი არასაკმარის მიზეზით არ გამოცხადდება, სააგენტო უფლებამოსილია, განცხადება დატოვოს განუხილველად.

სსგს-ს მიერ გადაწყვეტილების მიღება

- განცხადების განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოსათვის საჭირო დოკუმენტაციის სრულად წარდგენიდან 30 დღეს.
- სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.
- უცხოელზე, რომელმაც მიიღო საქართველოში ბინადრობის ნებართვა, სააგენტო გასცემს შესაბამის ბინადრობის მოწმობას.

უარის შემთხვევაში, გაქვთ 2 ალტერნატივა:

1. განმეორებით მიმართოთ სსგს-ს: უცხოელს, რომელსაც უარი ეთქვა საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, უფლება აქვს, იმავე საფუძვლით, განმეორებით წარადგინოს განცხადება პირველ განცხადებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არანაკლებ ერთი თვის შემდეგ.
2. გაასაჩივროთ სსგს-ის უარი სასამართლოში: საქართველოში ბინადრობის ნებართვის საკითხებზე სააგენტოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

განმეორებით შეტანილ განცხადებაზე უარის მიღების შემთხვევაში, გაასაჩივროთ სსგს-ს გადაწყვეტილება სასამართლოში

საქართველოში ბინადრობის ნებართვის საკითხებზე სააგენტოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში, გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.



Norwegian Ministry of Foreign Affairs

